

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის  
ოქმი №14

ქ. აბაშა, 2018 წლის 22 ნოემბერი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა  
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 10:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-  
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ელვარდი ნოდია, ზაზა გაბელაია, შოთა  
ჭანტურაია და კოკი ჩაჩავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ მელია, ბენია პიტავა და ზურაბ  
შუბლაძე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ  
კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის  
დაბრუნების თაობაზე.

მომხს: გ. კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს ( მომხრე - 5; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

## მოისმინეს :

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: ე. ნოდიაძე , შ. ჭანტურაია და კ. ჩაჩავაძე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -5; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

## დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის შესაბამისად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა „აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული დადგენილების პროექტი და გამოთქვა შემდეგი შენიშვნები:

1. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიზარდოს 2019 წლის ბიუჯეტში ა(ა)იპ აბაშის კეთილმოწყობის დაფინანსების ხარჯი.
2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიზარდოს 2019 წლის ბიუჯეტში ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხარჯები.
3. გაიზარდოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება, კერძოდ, მოსახლეობის ჯანდაცვის სტაციონალური მომსახურების ხარჯები.

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის  
სხდომა დახურულად გამოცხადდა 11:00 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუპრავა

# აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

0200. აბაშა. უ. კაჭარავას ქ. №1.

22.11.2018წ.

## დასკვნა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის შესაბამისად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა „აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული დადგენილების პროექტი და გამოთქვა შემდეგი შენიშვნები:

1. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიზარდოს 2019 წლის ბიუჯეტში ა(ა)იპ აბაშის კეთილმოწყობის დაფინანსების ხარჯი.
2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიზარდოს 2019 წლის ბიუჯეტში ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხარჯები.
3. გაიზარდოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება, კერძოდ, მოსახლეობის ჯანდაცვის სტაციონალური მომსახურების ხარჯები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე:

გ. კუპრავა